2022 წლის 28 ივნისი ქალაქი ქუთაისი

განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო კომისიის სხდომის მოწვევის და მისი დღის წესრიგის განსაზღვრის თაობაზე

მოწვეულ იქნეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო კომისიის სხდომა. საკონკურსო კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი: 2022 წლის 06-07 ივლისი. საკონკურსო კომისიის სხდომის ჩატარების ადგილი: ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, ნიუპორტის ქ. №32; საკონფერენციო დარბაზი.
საკონკურსო კომისიის სხდომის დაწყების თარიღი: 2022 წლის 06 ივლისი 10:00 საათი.

საკონკურსო კომისიის დღის წესრიგი:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილება) საგამოძიებო კოლეგიის სექტორის სპეციალისტის-პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან გასაუბრების ჩატარება და ზეპირი დავალების მიცემა. ასევე იმ კანდიდატებთან გასაუბრების ჩატარება და ზეპირი დავალების მიცემა, რომელთაც ამასთანავე შემოტანილი აქვთ განაცხადი ამავე განყოფილების სხდომის მდივნის-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა და მოსამართლის თანაშემწის - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწის - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან გასაუბრების ჩატარება და ზეპირი დავალების მიცემა. ასევე იმ კანდიდატებთან გასაუბრების ჩატარება და ზეპირი დავალების მიცემა, რომელთაც ამასთანავე შემოტანილი აქვთ განაცხადი ამავე განყოფილების სხდომის მდივნის - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კომისიის თავმჯდომარე:

ქეთევან აწყურელი